

## შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობას, შპს „ფერს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში („მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

31, ოქტომბერი, 2016 წ.

საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ილია ელოშვილის მიერ;

შპს „ფერი“, ს/კ: 211352187 წარმოდგენილი გენერალური დირექტორის იოსებ მჭედლიშვილის მიერ,


სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

ვინაიდან:

- კომპანიამ წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე განახორციელა „სამყურისწყალი 2 ჰესის“ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა;
- კომპანიამ განხორციელებული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგად სამინისტროს წარუდგინა ახალი წინადადება, რომლის თანახმადაც კომპანია, ნაცვლად „სამყურისწყალი 2 ჰესის“ (ნიშნულები: 1640-1167 მ.ზ.დ; სიმძლავრე: 22,6 მგვტ) მშენებლობისა, გამოთქვამს სურვილს განახორციელოს „სამყურისწყალი 1“ (ნიშნულები: 1672-1760 მ.ზ.დ; სიმძლავრე: 4,8 მგვტ) და „სამყურისწყალი 2“ (ნიშნულები: 1670-1173; სიმძლავრე: 26,28 მგვტ) ელექტროსადგურების მშენებლობა;

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან წინამდებარე მემორანდუმში შეიტანონ შემდეგი სახის ცვლილებები:

1. მემორანდუმის 1.5. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„1.5. ელექტროსადგური“ ნიშნავს მემორანდუმის დანართ N1-ში მითითებულ ჰიდროელექტროსადგურებს.“
2. მემორანდუმის 1.6. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„1.6. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის შესაბამისად იდება კომპანიასა და „ესკოს“ შორის დანართი N1-ით გათვალისწინებული



ელექტროსადგურების მიერ გამოქმუნებული ელექტროენერჯის შესყიდვის მიზნით.“

3. მემორანდუმის 1.16 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.16. ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა“ ნიშნავს კომპანიის მიერ მოსამზადებელ კვლევას/ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს მემორანდუმის დანართ N2-ით განსაზღვრულ დოკუმენტებს და რომელიც უნდა ადასტურებდეს ამავე დანართით გათვალისწინებული ელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელების ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და იურიდიულ მიზანშეწონილობას.“


4. მემორანდუმის მე-8 მუხლს დაემატოს 8.8. პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„8.8. განახორციელოს „სამყურისწყალი 1 ჰესის“ განხორციელებისთვის საჭირო ნებართვის, ლიცენზიის ან/და თანხმობის მოსაპოვებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები.“

5. მემორანდუმის მე-9 მუხლის 9.1., 9.2., 9.3. 9.4 და 9.5 პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.1. სამშენებლო ფაზის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, მემორანდუმის დანართით N3 განსაზღვრულ ვადებში მშენებლობის ნებართვის საფუძველზე თითოეული ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს სამშენებლო გარანტია ასაშენებელი ელექტროსადგურის (ცალ-ცალკე თითოეული ელექტროსადგურის მიზნებისთვის) დადგმული სიმძლავრის მიხედვით, 100 მეგავატი სიმძლავრის ჩათვლით - ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი), ხოლო 100 მეგავატზე მეტი სიმძლავრის შემთხვევაში - ყოველი მეგავატისათვის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი თითოეული სამშენებლო გარანტია ძალაში რჩება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული შესაბამისი ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 5 თვის განმავლობაში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ. კომპანიას ამ პუნქტის შესაბამისად სამშენებლო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში უზრუნველდება წინასამშენებლო გარანტია (გარანტიის დაბრუნების მომენტისთვის არსებული ოდენობით).“

9.2. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე შესაბამისი ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის ჯარიმის დაკისრებას ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის შესაბამის ელექტროსადგურთან დაკავშირებით წარმოდგენილი მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით. ამასთან, კომპანიამ



დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში შესაბამის ელექტროსადგურთან დაკავშირებით წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.

9.3. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას შესაბამის ელექტროსადგურთან დაკავშირებით წარმოდგენილი მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ამასთან, კომპანიამ

დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში შესაბამის ელექტროსადგურთან დაკავშირებით წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.

9.4. თუ იმ დროისთვის როდესაც დანართ N3-ით გათვალისწინებულ თითოეულ ელექტროსადგურთან მიმართებით 9.3. პუნქტით დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს შესაბამისი ელექტროსადგურის თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს, პროექტის განხორციელების პროგრესი (შესაბამისი ელექტროსადგურის ნაწილში) დანართი N1-ით განსაზღვრული ინვესტიციის სულ მცირე 60%-ს შეადგენს, ძირითადი მხარეები უნდა შეთანხმდნენ შესაბამისი ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადის გაგრძელებაზე.

9.5. მთავრობა უფლებამოსილია, შესაბამის ელექტროსადგურთან დაკავშირებით წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:

ა) კომპანია მემორანდუმის 9.2 ან/და 9.3 პუნქტების შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე უარს აცხადებს - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით.

ბ) მთავრობა მე-16 მუხლის შესაბამისად წყვეტს მემორანდუმს - შესაბამისი სამშენებლო გარანტიის სრული მოცულობით.“

6. მემორანდუმის მე-16 მუხლის პრეამბულა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შესაბამისი ელექტროსადგურის ნაწილში შეწყვიტოს მემორანდუმი იმ შემთხვევაში თუ:“

7. მემორანდუმის მე-16 მუხლის 16.2 და 16.3. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16.2. 9.2. პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა შესაბამისი ელექტროსადგურის ნაწილში მიაღწევს ამავე ელექტროსადგურთან დაკავშირებით თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;



- 16.3. 9.3. პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა შესაბამისი ელექტროსადგურის ნაწილში მიაღწევს ამავე ელექტროსადგურთან დაკავშირებით თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს და ამ ელექტროსადგურის ნაწილში პროექტის განხორციელების პროგრესი დანართი N1-ით განსაზღვრული სავარაუდო ინვესტიციის 60 (სამოცი) %-ზე ნაკლებია;
8. მემორანდუმის მე-17 მუხლის პრეამბულა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„17. მთავრობის მიერ ამ მემორანდუმის მე-16 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა, შესაბამისი ელექტროსადგურის ნაწილში გამოიწვევს შემდეგს:“
9. მემორანდუმის მე-18 მუხლის პრეამბულა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„18. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად, მთავრობისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შესაბამისი ელექტროსადგურის ნაწილში იმ შემთხვევაში თუ:“
10. მემორანდუმს მე-18 მუხლის შემდეგ დაემატოს 18<sup>1</sup> მუხლი შემდეგი რედაქციით:  
„18<sup>1</sup>. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი ორგანიზაციის მიერ არ იქნა გაცემული „სამყურისწყალი 1 ჰესის“ პროექტის განხორციელებლად საჭირო რაიმე ნებართვა, ლიცენზია ან/და თანხმობა, კომპანია უფლებამოსილია აღნიშნული ელექტროსადგურის ნაწილში ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი ამ ელექტროსადგურის ნაწილში, მთავრობისთვის ასეთი სახით შეწყვეტამდე 60 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, იმ პირობით, რომ კომპანია შეასრულებს ასეთი ნებართვის, ლიცენზიის ან/და თანხმობის გაცემისთვის კანონმდებლობით ან/და მემორანდუმით დადგენილ მოთხოვნებს.“
11. მემორანდუმის მე-19 მუხლის პრეამბულა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„19. კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის მე-18 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა, შესაბამისი ელექტროსადგურის ნაწილში გამოიწვევს შემდეგს:“
12. მემორანდუმს მე-19 მუხლის შემდეგ დაემატოს 19<sup>1</sup> მუხლი შემდეგი რედაქციით:  
„19<sup>1</sup>. კომპანიის მიერ მემორანდუმის 18<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე „სამყურისწყალი 1 ჰესის“ პროექტის ნაწილში მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:  
19<sup>1</sup>.1. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა „სამყურისწყალი 1 ჰესის“ პროექტის განხორციელების უფლება;  
19<sup>1</sup>.2. კომპანიის ხელთ არსებულ „სამყურისწყალი 1 ჰესის“ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე, ისევე, როგორც აღნიშნულ პროექტის ფარგლებში კომპანიის მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება



უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, „სამყურისწყალი 1 ჰესის“ პროექტის ნაწილში მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;  
19<sup>1</sup>.3. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;  
19<sup>1</sup>.4. კომპანიას დაუბრუნდება „სამყურისწყალი 1 ჰესის“ პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია (გარანტიის დაბრუნების მომენტისთვის არსებული ოდენობით).“

13. მემორანდუმის მე-20 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„20. მთავრობის ან კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის შეწყვეტა რომელიმე ელექტროსადგურის ნაწილში იწვევს მემორანდუმის ყველა მხარისათვის შეწყვეტას შესაბამისი ელექტროსადგურის ნაწილში და შესაბამისად, ამავე ელექტროსადგურის ნაწილში, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შეწყვეტას.“
14. მემორანდუმის დანართები N1, N3 და N4 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული რედაქციით.
15. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
16. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

ილია ელოშვილი

შპს „ფერო“

იოსებ მჭედლიშვილი

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე

დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები (მეტრი ზღვის დონიდან)		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე	პროექტის სავარაუდო ინვესტიცია
სამყურისწყალი 2 ჰესი	საქართველო, კახეთი, ახმეტის მუნიციპალიტეტი, მდინარე სამყურისწყალი	1670	1173	129,25 მლნ.კვტ.სთ	26,28 მგვტ.	39,550,000 აშშ დოლარი
სამყურისწყალი 1 ჰესი	საქართველო, კახეთი, ახმეტის მუნიციპალიტეტი, მდინარე სამყურისწყალი	1672	1760	25,7 მლნ.კვტ.სთ	4,8 მგვტ.	6,500,000 აშშ დოლარი



დანართი 3

წინასამშენებლო ფაზა		სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი		დასასრული
მემორანდუმი ს ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულები ს ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თარიღი - არაუგვიანეს 12 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან	ექსპლუატაცია ში მიღება
16 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან		54 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		



დანართი N4

ხელშეკრულება

ქ. თბილისი

\_\_\_\_\_ /წელი

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, ილია ელოშვილის მიერ, და

მეორე მხრივ, შპს ფერი (შემდგომში - „კომპანია“), ს/კ: 211352187 წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, იოსებ მჭედლიშვილის მიერ

ვინაიდან, ძირითადად მხარეებმა, მემორანდუმის შესაბამისად, კომპანიის მიერ მომზადებული და წარდგენილი წინადადების საფუძველზე, მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე;

ვინაიდან, კომპანიამ მემორანდუმის 9.1 მუხლის საფუძველზე მთავრობის სასარგებლოდ წარადგინა ორი სამშენებლო გარანტია;

აქედან გამომდინარე, ძირითადი მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას მშენებლობის ფაზის დაწყების მიზნით, რის საფუძველზეც კომპანია იღებს ვალდებულებას მემორანდუმის დანართი N3-ით დადგენილ ვადებში ააშენოს დანართი N1-ით გათვალისწინებული ელექტროსადგურები.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

\_\_\_\_\_  
ილია ელოშვილი

შპს „ფერი“

\_\_\_\_\_  
იოსებ მჭედლიშვილი







## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2016 2016 წლის 30 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ფერსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ფერსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული შეთანხმება.

2. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ფერსა“ შორის დასაბუთებული ხელშეკრულება, „სამყურისწყალი 1“ და „სამყურისწყალი 2“ ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ.


3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებისა და საქართველოს მთავრობას, შპს „ფერსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად, შპს „ფერის“ მიერ სამშენებლო საბანკო გარანტიების წარდგენის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ

უზრუნველყოს შპს „ფერის“ მიერ წარდგენილი წინასამშენებლო საბანკო გარანტიის (113,000 აშშ დოლარის ოდენობით) დაბრუნება.

4. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტიის დაბრუნების თაობაზე გარანტიის გამცემ ბანკში წარსადგენ შესაბამის წერილზე, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრს ილია ელოშვილს.

5. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ შეთანხმებასა და ამავე განკარგულების მე-2 პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6380

27 / სექტემბერი / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 26 სექტემბრის №04/3887 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „ფერს“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ დასადები შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებით შემდეგს:

1. იმის გათვალისწინებით, რომ შეთანხმების პროექტით განსახორციელებელი ცვლილებები ეხება ელექტროსადგურების მშენებლობის ფაზას, შეთანხმების მე-10 მუხლის შესაბამისად, კანონმდებლობის მიხედვით გაუცემელი ნებართვების/ლიცენზიების საფუძველზე კომპანიისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების მინიჭება უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

2. შევნიშნავთ, რომ შეთანხმების პროექტი შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარვეზს, კერძოდ, შეთანხმების პროექტის სათაურში არ არის მითითებული კომპანიის სახელწოდება.

პატივისცემით,

გ. დხიჭიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1117  
27/09/2016

1117-01-2-201609271717



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 26 სექტემბრის #04/3886 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „ფერს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 31 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი (სამყურისწყალი 1 ჰესი, სამყურისწყალი 2 ჰესი), რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE \* WWW.ESCO.GE

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ.კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036



**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16144905, 19/10/2016 17:29:39

**სუბიექტი**

**საფირმო სახელწოდება:** შპს ფერი

**სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 211352187

**რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** 5ა/4-562; 23/08/1996

**მარეგისტრირებელი ორგანო:** სასამართლო

**იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ჩაჩავას ქ., №8

**დამატებითი ინფორმაცია:**

**ტელეფონი:** peri@geo.net.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა**

- გენერალური დირექტორი - 31001008734, იოსებ მჭედლიძევილი
- დირექტორი - 01012018467, მერაბ იორდანიძევილი

**პარტნიორები**

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
31001008734, იოსებ მჭედლიძევილი	96.000000000%	
01009007477, კახაბერ შევარდნაძე	4.000000000%	

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

---

**გირავნობა**

რეგისტრირებული არ არის

---

**ყაღალა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R09002278 07/09/2007**  
**კრედიტორი : სს'თიბისი ბანკი' (საქართველო) 204854595**  
**მესაკუთრე : შპს 'ფერი' (საქართველო) 211352187**  
საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : დანადგარი **Robbins DS96-297**  
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება , **N15831-13** , ნოტარიუსი **მ. გვაზავა, N3350, 05.09.2007**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R11001224 22/07/2011 17:58:20**  
**კრედიტორი : სს'თიბისი ბანკი' (საქართველო) 204854595**  
**მესაკუთრე : შპს 'ფერი' (საქართველო) 211352187**  
საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : **30% წილი შპს 'ენერჯია'-ში (ს/ნ 401950037)**  
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, **№15831-77, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, №110762965, 21.07.2011**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R11001540 13/09/2011 18:36:17**  
**მოვალე : შპს 'ფერი' (ლიზინგის მიმღები) (საქართველო) 211352187**  
**მესაკუთრე : სს 'თიბისი ლიზინგი' (ლიზინგის გამცემი) (საქართველო) 205016560**  
საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხილეთ დოკუმენტი)  
საფუძველი: **წერილი, სს 'თიბისი ლიზინგი', N661/11, 13.09.2011**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R12000914 28/05/2012 16:05:10**  
**მოვალე : შპს 'ფერი' (ლიზინგის მიმღები) (საქართველო) 211352187**

**მესაკუთრე : სს 'თიბისი ლიზინგი' (ლიზინგის გამცემი) (საქართველო) 205016560**

საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხ.

**სარეგისტრაციო დოკუმენტი)**

საფუძველი: წერილი , სს 'თიბისი ლიზინგი', №695/12, 28.05.2012

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R13002986 31/10/2013 16:38:24**

**კრედიტორი : სს ვითიბი ბანკი ჯორჯია (საქართველო) 202906427**

**კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595**

**მესაკუთრე : შპს ფერი (საქართველო) 211352187**

საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხილეთ

**სარეგისტრაციო დოკუმენტი)**

საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, 1231232592, ნოტარიუსი მედეა

**გვაზავა, 131145635, 31.10.2013**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R13002993 08/11/2013 16:12:39**

**კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595**

**მესაკუთრე : შპს ფერი (საქართველო) 211352187**

საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხილეთ

**სარეგისტრაციო დოკუმენტი)**

საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, 1231232592, ნოტარიუსი მედეა

**გვაზავა, 131147985, 31.10.2013**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R14004098 04/03/2014 18:45:48**

**კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595**

**მესაკუთრე : შპს ფერი (საქართველო) 211352187**

საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : არსებული და სამომავლო

**მოთხოვნის უფლება სს 'ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული**

**ოპერატორი'-ს მიმართ (იხილეთ სარეგისტრაციო დოკუმენტი)**

საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, 123123358036, ნოტარიუსი მედეა

**გვაზავა, 140177789, 27.02.2014**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R14007648 07/04/2014 17:13:37**

**მოვალე : შპს 'ფერი' (ლიზინგის მიმღები) (საქართველო) 211352187**

**მესაკუთრე : სს თიბისი ლიზინგი (ლიზინგის გამცემი) (საქართველო) 205016560**

საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება(იხ.

**სარეგისტრაციო დოკუმენტი)**

საფუძველი: ნერილი, 'თიბისი ლიზინგი', 809/14, 03.04.2014

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R14032439 18/09/2014 19:35:01**  
კრედიტორი : ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) (დიდი ბრიტანეთი) 36662  
მესაკუთრე : შპს ფერი (საქართველო) 211352187  
საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : 13,333,333 (ცამეტი მილიონ სამასოცდაცამეტი ათას სამასოცდაცამეტი) ჩვეულებრივი აქცია სააქციო საზოგადოების, საფირმო სახელწოდებით: სს დარიალი ენერჯი, საიდენტიფიკაციო კოდი: 401953061  
საფუძველი: აქციების გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი, 141009981, 17.09.2014
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R15015333 02/04/2015 18:20:20**  
კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595  
მესაკუთრე : შპს ფერი (საქართველო) 211352187  
მესაკუთრე : ბლიაძე მევლუდ (რუსეთის ფედერაცია) 64N#0395562  
მესაკუთრე : შპს ენერჯია (საქართველო) 401950037  
საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : შპს ფერის 30%-იანი წილი შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოებაში საფირმო სახელწოდება: შპს ენერჯია; საიდენტიფიკაციო ნომერი: 401950037. არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : შპს ენერჯიას არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება (იხ. სარეგისტრაციო დოკუმენტი). არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : შპს ენერჯიას არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე გარდა 'სს დარიალი ენერჯი'-ში ს/ნ 401953061 'შპს ენერჯია'-ს კუთვნილი აქციებისა (იხილეთ სარეგისტრაციო დოკუმენტი) არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : მევლუდ ბლიაძის 70%-იანი წილი შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოებაში საფირმო სახელწოდება: შპს ენერჯია; საიდენტიფიკაციო ნომერი: 401950037.  
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, 12312353214; 12312353436; 12312353330., ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 120762832, 19.07.2012  
შეთანხმება გირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 12312353214; 12312353436; 12312353330, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 150309253, 30.03.2015



- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R15050721 15/10/2015 16:42:36**  
**კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595**  
**მესაკუთრე : მჭედლიშვილი იოსებ (საქართველო) 31001008734**  
 საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : იოსებ მჭედლიშვილის  
**(პ/631001008734) 96%-იანი წილი შპს ფერის (ს/6211352187) კაპიტალში.**  
 საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, სს თიბისი ბანკი, ნოტარიუსი მედეა  
**გვაზავა, 151133696, 13.10.2015**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R15050722 15/10/2015 16:55:15**  
**კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595**  
**მესაკუთრე : შევარდნაძე კახაბერ (საქართველო) 01009007477**  
 საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : კახაბერ შევარდნაძის (პ/6  
**01009007477) 4% წილი შპს ფერის (ს/6211352187) კაპიტალში.**  
 საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, **151133717,**  
**13.10.2015**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R15050730 15/10/2015 18:06:05**  
**კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595**  
**მესაკუთრე : შპს ფერი (საქართველო) 211352187**  
 საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : შპს „ენერჯია“-ს (ს/6 401950037)  
**კაპიტალში შპს „ფერი“-ს (ს/6 211352187) წილი 30%**  
 საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, სს თიბისი ბანკი, **15831-77, ნოტარიუსი**  
**მედეა გვაზავა, 151133647, 13.10.2015**

## მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- 
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
  - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
  - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შევსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
  - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
  - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
  - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)